

შპს „ჯრ კომ“-ისთვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №480/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად კომისიის 2016 წლის 16 ივნისის №400/8 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ჯრ კომ“-ი.

ამავე გადაწყვეტილებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების“ შესაბამისად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის (3,266.40 ლარი) 30%-ს - 979,92 (ცხრაასსამოცდაცხრამეტი და 92) ლარს გამოკლებული ბეს სახით გადახდილი 311.04 (სამასთერთმეტი და 04) ლარი ანუ 668.88 (ექვსასსამოცდარვა და 88) ლარის 2016 წლის 18 აგვისტომდე საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება.

კომისია, აღნიშნავს, რომ შპს „ჯრ კომ“-ის მიერ 2016 წლის 16 აგვისტოს საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილ იქნა 668.88 (ექვსასსამოცდარვა და 88)ლარი. გადახდის დამადასტურებელი საბუთი კომისიაში წარმოდგენილ იქნა 2016 წლის 6 სექტემბერს (წერილის კომისიაში რეგისტრაციის ნომერი - №6/9391-16 06.09.16).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის, 47²-ე მუხლის მე-2 პუნქტის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა“ და კომისიის 2016 წლის 14 ივლისის №480/10 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს შპს „ჯრ კომს“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F100 ლიცენზია ავტორიზაციით გათვალისწინებული საქმიანობისთვის და განესაზღვროს შემდეგი სალიცენზიო პირობები:

ა) ტექნიკური პარამეტრები:

გადამცემის და ანტენის განთავსების ადგილი	სიხშირე (მჰც)	სიხშირული ზოლი (კჰც)	პოლარიზაცია V / H	გასხივება	გადამცემის სიმძლავრე (ვტ)	გეოგრაფიული კოორდინატები	ანტენის დაკიდების სიმაღლე მიწის ზედაპირიდან (მ)	ანტენის გაძლიერების კოეფიციენტი (დბ)
თბილისი (მობილფონის ანძა)	423.950	25	V	წრიული	10	41°41'26.24" N44°44'52.5 " E	40	3
თბილისი (მობილფონის ანძა)	429.150	25	V	წრიული	10	41°41'26.24" N44°44'52.5 " E	40	3

ზემოაღნიშნული გადამცემი სადგურის განთავსება შესაძლებელია მითითებული კოორდინატის მიმართ 500მ რადიუსის ფარგლებში, ზღვის დონიდან გადამცემი ანტენის დაკიდების სიმაღლის შენარჩუნებით (ცდომილება±5მ).

ბ) გეოგრაფიული არეალი: ქ. თბილისი;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა: 2026 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით;

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ბ) ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში დაიწყოს პრაქტიკული საქმიანობა;

გ) რადიოსიხშირული სპექტრი გამოიყენოს კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის" შესაბამისად;

3. შპს „ჯრ კომ“-მა უზრუნველყოს №F100 ლიცენზიისათვის განსაზღვრული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის 70%-ის - 2286.48 (ორი ათას ორასოთხმოცდაექვსი და 48) ლარის საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდა შემდეგი რეკვიზიტებისა და გრაფიკის მიხედვით:

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში-ა/ა-N200122900

ბანკი: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: N300773402

190.54 ლარი - 2016 წლის 15 ოქტომბრამდე;

190.54 ლარი - 2016 წლის 15 ნოემბრამდე;

190.54 ლარი - 2016 წლის 15 დეკემბრამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 იანვრამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 თებერვლამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 მარტამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 აპრილამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 მაისამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 ივნისამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 ივლისამდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 აგვისტომდე;

190.54 ლარი - 2017 წლის 15 სექტემბრამდე;

4. შპს „ჯრ კომ“-მა წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით განსაზღვრული თანხების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები კომისიას წარმოუდგინოს გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

5. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს

ა) სათანადო მონაცემების კომისიის სალიცენზიო რეესტრში შეტანა (ნ.ლორთქიფანიძე);

ბ) ლიცენზიის გაცემის თაობაზე ინფორმაციის სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გაგზავნის უზრუნველყოფა (მ. ქაღიციანი);

გ) სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა (ნ.ლორთქიფანიძე);

დ) გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის შპს „ჯრ კომ“-სთვის გაგზავნის უზრუნველყოფა (ნ. ჯავახიძე).

6. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

7. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6) ერთი თვის ვადაში;

8. კონტროლი აღნიშნულ გადაწყვეტილების პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების და მე-2 პუნქტის შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის (ს.შავგულიძე) დეპარტამენტს;

9. კონტროლი აღნიშნულ გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 პუნქტების შესრულებაზე დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს (ნ. დევდარიანი);

10. კონტროლი აღნიშნულ გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა პირველი პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტების, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებისა) დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

ელისო ასანიძე

გიორგი ფრუიძე

მერაბ ქათამაძე